

მშვიდობის დღეა, მშვენიერების!

1

მშვიდობის დღეა,
მშვენიერების,
ძმაო ძვირფასო,
ვერ შეეღევი!
მაისს გადაეც
შენი ფართობი,
მზით შგვეგებნეთ
ვინც ხარ მაისის
ვარდის მკრეფელი,
გააღე კარი
გახსენ ბჭეკარი
სულ პირველ მაისს
შეეგებნით!.
სამადლობლოს
ჩვენ თუ ძმურს ვუხდით
ვარდ-იასამნის აზარფეშებით, -
ცათა ფირუზი მოაქვს პეშვებით
და საქართველოს
ბაღთა ზურმუხტი...
მე საქართველოს
ვერ მომაცილებთ,
ვით ვერ მოიცლის
ხალს ვეფხვის ტყავი.
ყველა მაისის
ვარ მონაწილე,
ყველა აპრილის
ზამბახთან ვყვავი!
სულ მთლათ დავლევდი
ამხანაგებთან
აღმოსაელეთის
შარბათს,
რაც მისთვის საკვეხურია,
არ მივიჩნევდი
შენზე უტკბესად, -
ქართლ-იმერ-ეგრის -
კახეთ-გურიავ!

≡

ბუდეებიდან
ისმის ჟღივილი,
სიმღერები და
ხმები დილისა.
და მტკვრის ზვირთების
გადაყვილში,
გამოიღვიძა
კიდევ თბილისმა!
მთა შემოფარგლა
ოქროს ნათელმა,
და გაუღიმა მიწას მაისმა,
ვარდი გაირქო ქუდში ქართველმა
და მზე ცამ -
ბროლზე უსუფთაესმა.
ჩემს სამშობლოში
და ჩემს კერაზე,
სადაც სიოც კი
არ მეურჩება,
მე მირჩევნია
საუკუნეებს
საათის ერთი დაბლაუჭება
როცა შეღმართზე მიდის ისარი,
ძალის მოკრეფით, ნელი ტაატით,
მე ძარღვს ვაშველებ,
მე გულს ვაშველებ,
ჩემს გულს მიჰყავდეს თითქოს საათი!
მყინვარის წვერზე არ მინდა ბინა,
არც მზესთან ახლოს დაბანაკება.
მე - ხალხის გულში ცხოვრება მინდა,
მეზობლებთან და ამხანაგებთან
არა, სამშობლოს ვერ მომაცილებ,
მისი მადგია მე მუზარადი:
ქართლის აღდგენის ვარ მონაწილე
და მომღერალი მისი მარადის!
თქვენ ნახეთ ბუდე ჩემი გულისა,
სადაც ელვარებს მწვანე მაისი,
ბანაკი არის გაზაფხულისა,
ყველა მწვერვალზე უზედაესი!
გააღე კარი,

გახსენ ბჭეკარი,
მე საკუთარ გულს ველარ ვერევი,
თაიგულები უხვად შეკარი,
დღეა მშვიდობის,
მშვენიერების. ..

≡

როგორც ერთძმები,
დგანან ლერწმები,
როგორ ეტყობათ,
ხმათა შეტკბობაა=

შეირხა ფერფლი დაძინებული
მეტეხში პირველ მაისს აღმდგარი,
თამარის სუნთქვით გაღვიძებული,
ოქროს ხმით რეკავს რუსთველის ქნარი
- რაა ცხოვრება, ქვაბის მონებო,
უსიყვარულო, უშთაგონებო=

და სააკაძე გრგვინავს ბედქარი:
- რაა ცხოვრება ბრძოლის გარეშე,
თუ არ მაცვია შავი ბეგთარი,
სიცოცხლის წუთს ნუ მიაწვარებთ

⌋

რაც იყო იყო,-
დაე ჩაბარდეს
ძველს ისტორიას
ძველი ცთომანი:
მე მიყვარს ახლა
მწვანე ბაღებზე
მაისის ფერთა მიმოკრთომანი;
ოქროს ფრთიანი ჩემი პირიმზე
ვით სიყვარული განაღდებული,-
ვაშლის ყვავილით ჩემი დილიმზე,
ნუშის ყვავილით განათებული.
მე თავი როდი
მემარტოვება,
ხე შემომღერის
მწვანე რტოება;
კვირტში შემწყვდეულ
რძის ნამის ძალა,

მეც ხომ ფრთებს მიზრდის
არწივის ცალად



შეხედე, ატმის ტოტი ინთება,
ვარდი გაირჭე, ჭიქაც ავავსოთ
ჩვენ საქართველოს ვუთხრათ დიდება
და სიტყვაც მისთვის მოვილამაზოთ
და რაც იღვიძებს -
მას გაუმარჯოს!
მას გაზაფხულმა
გზა დაუფარჩოს!
მაისის ხნული,
მაისის ვარდი
გინდ სიყვარულის პატარა დარდიც=
მაისი არის,
გაიზიარე,
გაიმზიანე
გულის ლაჟვარდი!
მე ვუმღერ მუდმივ აყვავილებას,
და საქართველოს ცის უკვდავებას;
ძალას ხალხისას, რომ არ ილევა
ვნატრობ მის გულზე სიმათ გავება!



მე ჩემს გულისთქმას ველარ ვერევი,
დღეა მშვიდობის, მშვენიერების...
ვნატრობ ხალხის გულს არავითარი
ზარბაზნის კვამლი აღარ ნისლავდეს
ამ სილამაზით ვიყო მდიდარი
მარიხ-ვარსკვლავის მზესთან მისვლამდე
თავს ვუხრი ბალახს,
მინდა სიცოცხლე,
ამ თეთრ ვაშლის ქვეშ,
უკუნისამდე!